საქართველოს საოჯახო მედიცინის
პროფესიონალთა კავშირი
თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. N 57
ტელ: + 995 322 95 98 66
ელ.ფოსტა: nfmtc@nilc.org.ge

GEORGIA FAMILY MEDICINE
ASSOCIATION
57 M.Tsinamdzghvrishvili str. Tbilisi, Georgia
Tel.: + 995 322 95 98 66
e-mail: nfmtc@nilc.org.ge

№1-25/21 **26/აგვისტო/2020**

რეცენზია

საქართველოს თერაპევტთა ასოციაციის მიერ წარმოდგენილ შინაგან დაავადებათა მედიცინაში კომპეტენციათა ნუსხის პროექტის თაობაზე

შინაგანი მედიცინა შეისწავლის ფართოდ გავრცელებულ ქრონიკულ კომპლექსურ პოლისისტემურ და მულტიორგანულ დაავადებებს. კერძოდ, გულ-სისხლძარღვთა, სასუნთქი, საჭმლის მომნელებელი, სისხლის და სისხლმბადი ორგანოების, შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების, თირკმლების, რევმატული დაავადებების პრევენციას და მკურნალობას; ავიტამინოზებს, წყალ-მარილოვან დარღვევებს და სხვა ზოგად დაავადებებსა და პათოლოგიურ მდგომარეობებს.

შინაგანი მედიცინის სპეციალისტის საქმიანობა და კომპეტენციის დიაპაზონი არის ფართო, უნდა მოიცავდეს პაციენტთა კვლევას, დიაგნოსტიკას, მკურნალობას, მართვას, პირველად დახმარებას, პრევენციასა და რეაბილიტაციას. გადაუდებელ სიტუაციებში დროულად მიმართავდეს რეფერალს, აუცილებლობისას კი, სასიცოცხლო საფრთხის განვითარების შემთხვევაში იწყებდეს სამედიცინო დახმარების აღმოჩენას პაციენტის სპეციალიზებულ კლინიკაში მოთავსებამდე ან შესაბამისი პროფილის სპეციალისტების კონსულტაციამდე.

უაღრესად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია შინაგანი მედიცინის დარგის განვითარება, ამ დარგში კომპეტენციათა ნუსხის დროული ჩამოყალიბება, რათა ამ დარგის სპეციალისტებს გაეხსნათ გზა თავისუფლად და თავდაუზოგავად იმუშაონ პაციენტების საკეთილდღეოდ, მისცენ მათ დროული ფართო სპექტრის კვალიფიციური დახმარება სპეციალიზებულ დონეზე. მიგვაჩნია, რომ კომპეტენციათა ზღვარის მკვეთრი გავლება ზოგადი პროფილის ექიმებსა და თერაპიული პროფილის ვიწრო სპეციალისტებს შორის შეუძლებელია, ეს ზღვარი არის დინამიური და წყდება იქ, სადაც მდგომარეობა ისე რთულდება, რომ მისი დაბალანსება უნდა ხდებოდეს უკვე სპეციალიზებულ დაწესებულებაში.

ფრიად მნიშვნელოვანია შინაგანი მედიცინის დარგის ხელშეწყობა, ზოგადი პროფილის ექიმთა როლის მაკოორდინირებელი როლის გამოკვეთა, დარგისთვის ძირეული ხელშეწყობა, რადგან სამედიცინო განათლების დიპლომამდელ საფეხურზე ყველაზე დიდი დრო და მნიშვნელობა კლინიკურ დისციპლინებს შორის ეთმობა შინაგან მედიცინას, რათა შემდგომში ახალგაზრდა ექიმებმა წარმატებით დაძლიონ დიპლომისშემდგომი ზოგადი და კერძო სპეციალიზაციის კურსები, ვინაიდან ვიწრო სპეციალობის სრულყოფილი დაუფლება ზოგადი ცოდნის საფუძვლის გარეშე ვერ ხერხდება, რასაც ადასტურებს განვითარებული ქვეყნების გამოცდილება.

საქართველოს თერაპევტთა ასოციაციის მიერ წარმოადგენილ კომპეტენციათა ნუსხაში „შინაგანი მედიცინა“, გათვალისწინებულია უცხოეთის წამყვანი ქვეყნების შეხედულებები და თანამედროვე

მედიცინის მოთხოვნები. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი მოსაზრებები სრულად გაზიარებული იქნება სამინისტროს მხრიდან.

საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირი დადებით რეცენზიას აძლევს საქართველოს თერაპევტთა ასოციაციის მიერ წარმოდგენილ კომპეტენციათა ნუსხას.

პატივისცემით,

ირინე ქაროსანიძე

ა(ა)იპ "საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირის" პრეზიდენტი